ფონდი ოპისი საქმე

987 1 222

987 1 222

დასკანირებულია
16 01 2025

1983, 23/XII.

სახალხო განათლება

# ახალმოსახლე ფრთებს შლის, იზრდება...

დედაქალაქის ვაზისუბნის დასახლება... ალმართი ალმართს მიპყვება, თითქოს სივრცის დაპყრობას. ლამობენ ზემსწრაფი საცხოვრებელი კორპუსები. მესამე მიკრორაიონის იქით სახლები არ დგას, მაგრამ მშენებლობის ასეთი გაქანების მომსწრე და მხილველ თბილისელებს სრულებით არ გაუკვირდებათ, თუ ამ ცარიელ ადგილებზე მოკლე ხანში ცადატყორცნილი კორპუსები სოკოებივით მომრავლდებიან.

ახლახან მესამე მიკრორაიონში ცხოვრება დამკვიდრდა, ქუჩები ბავშვების გრიამულმა გაახალისა. საშიოდე თვის წინ კი მეორე კვარტლის ტერიტორია საშუალო სკოლის ნათელი, ლამაზი შენობით დამშვენდა.

თბილისის მე-40 საშუალო სკოლა მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის პირმშოა. შესანიშნავი პირობებია შექმნილი აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის. აგვისტოს ბოლოს კი...

— ამ სკოლაში რომ მოვედი, შემეშინდა კიდეც, ვაი თუ, პირველი სექტემბრის ზარი არ დაირეკოს-მეთქი, — იმდენი საქმე იყო გასაკეთებელი, — განაცხადა სკოლის დირექტორმა მზია ქავთარაძემ, — მაგრამ მშენებლებმა დამაიმედეს. ბარაქალა მათს შარჯვენას! პირობა პირნათლად შეასრულეს. ჩვენც ბევრი ოფლი ვღვარეთ იმ დღეებში. არ იყო გარჩევა იმისა, ვინ იყო დირექტორი და ვინ დამლაგებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. ყველა ერთგულად შრომობდა — ასუფთავებდა, ალაგებდა და პირველი სექტემბრის ზარიც აწკრიალდა.

ახალგაზრდა დირექტორი მზია ქავთარაძე ადრე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულ ენას, მაგრამ მოწოდებამ თავისი გაიტანა, საშუალო სკოლის სიყვარულმა უმაღლესი სასწავლებელი დაათმობინა. მზიამ ჯერ თბილისის კ. ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატს მიაშურა და იქ დაიწყო მუშაობა რიგით მასწავლებლად. ამჟამად კი ახალგახსნილი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს უდგას სათავეში.

დირექტორს უნარიანი, სკოლაში საშუალოდ გულის კარნახით მოსული მასწავლებლები შემოუკრებია გარშემო — ათასზე მეტი მოზარდის სწავლებისა და აღზრდის საქმეს ოთხმოცამდე პედაგოგი ემსახურება.

დირექტორს ასევე ახალგაზრდა, ენერგიული მოადგილეები — ვალიდა შევარდნაძე და რაფაელ მიკირტუმოვი, სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი გულიკო შვანგირაძე საიმედოდ უდგანან მხარში.

სასწავლო წელი ახალ სკოლაში ორგანიზებულად დაიწყო. კარგი დასაწყისი კი ნახევარ გამარჯვებას უდრისო, უთქვამს ბრძენკაცს. პირველი ნაბიჯები გაბედულად გადაიდგა და პირველი შედეგებიც სახისხარულოა.

დედაქალაქის 26 კომისრის რაიონში შესანიშნავი ტრადიციაა დამკვიდრებული. გამოცდილი, მოწინავე სკოლის დირექტორები დასმარების ხელს უწვდიან ახალბედა, ახალმოსახლე კოლეგებს.

## თანადგომის სიკეთე

ასეა ახლაც: მზია ქავთარაძეს საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის, 77-ე სკოლის დირექტორის გრიგოლ კობახიძის, 99-ე სკოლის დირექტორის მზია აგლაძის, 88-ე სკოლის დირექტორის ციალა ლობჟანიძის, 176-ე სკოლის დირექტორის ელგუჯა ნემსიწვერიძისა და სხვების მხარდაჭერა სტიმულს აძლევს მუშაობაში, ენერგიას უორკეცებს.

ახალმოსახლის დახმარება ხომ პუმანურობის გამოხატულებაა და სწორედ ამ კეთილშობილური განზრახვით ეწვივნენ სკოლას ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მეცნიერები, პროფესორები: ა. თოფურია, შ. ბებიაშვილი, ვ. კობახიძე, გ. ნიბახაშვილი, გ. გიგოლაევი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, დოცენტი დ. დარჩია.

ისინი შეხვდნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და ესაუბრნენ სწავლებისა და აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის აქტუალურ საკითხებზე. უაღრესად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო მათი შეხვედრა მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

„რადიოტექნიკა და პროგრესული ორიენტაცია", — ასეთი იყო პროფესორ შ. ბებიაშვილის უფროსი კლასების მოსწავლეებთან საუბრის თემა. აღზრდის საინტერესო საკითხებზე ესაუბრა მათ პროფესორი ვ. კობახიძე.

რუსული ენის შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე, რუსული ლიტერატურის მსოფლიო რეზონანსზე, მის მასშტაბურობაზე ვრცლად და შთამაგონებლად ილაპარაკეს მოსწავლეებთან პროფესორებმა გ. ნიბახაშვილმა და გ. გიგოლაევმა.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული, ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობა შთააგონეს ახალგაზრდებს პროფესორებმა ი. ქავთარაძემ და ა. თოფურიამ. პროფესიული ორიენტაციის მიზნით სტუმრებმა მოუწოდეს ახალგაზრდებს, რომ მეცნიერების საფუძვლების დაუფლებასთან ერთად თავიანთი ცხოვრების მეგზურად აირჩიონ პედაგოგის სპეციალობა.

შემდეგ პროფესორები ი. ქავთარაძე და ა. თოფურია შეხვდნენ სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, ესაუბრნენ სწავლების ხარისხის ამაღლების, გაკვეთილების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ჩატარების რაციონალურ მეთოდებსა და ხერხებზე, პასუხი გასცეს მასწავლებელთათვის საინტერესო კითხვებზე. პროფესორმა ა. თოფურიამ ურჩია პედაგოგებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობაში, რომელსაც რეგულარულად ატარებს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების კათედრა. მე-40 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ საჩუქრად გადასცა თავისი ახალი ნაშრომი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა".

ასევე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ და პედაგოგიკის კათედრამ სკოლას უსახსოვრეს 50 სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელო წიგნი, მხატვრული და მეთოდიკური ლიტერატურა. სტუმრებმა დიდი ფხის დასაწყისი დაულოცეს სკოლას და მის ყველა მუშაკს მოწინავეთა რიგებში ჩადგომა უსურვეს. გამოთქვეს რწმენა, რომ საქმიანი და ნაყოფიერი ურთიერთობა უნივერსიტეტსა და სკოლას შორის შემდგომში უფრო გაღრმავდება.

თბილისის მე-40 სკოლის ისტორიის კალენდარზე პირველი ფურცელი უკვე გადაიფურცლა. ახალ წელს სწავლასა და შრომაში ახალი წარმატებები დაბედებოდეს ამ სკოლის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს.

ბ. მიშველაძე.

# ...ს შემწყნა...

...და, ვერ გაუძლო დედის გუ...
...ა ობლობაში გამოზრდილი ერ...
...ს დაღუპვას...

...ეს და კიდევ სხვა მრავალი ამ...
...არი ეპიზოდი მოსვენებას არ
...ლევდა ვალენტინა მაკაროვას
...ა როცა სასოფლო-სამეურნეო
...ექნიკუმის სტუდენტებთან ერ...
...დ, სადაც იგი პედაგოგად მუ...
...ობდა, წესისამებრ, საძმო სახა...
...ლაოს მიაშურა იქაურობის წე...
...იგში მოსაყვანად, მაშინ იგრძ...
...ა მარტო დაგვა-დასუფთავება და
...ავილებით შემკობა ვერ უშვე...
...და ახლობლების ცრემლს მო...
...ტრებულ, სამუდამოდ მიძინე...
...ულ გმირებს — მათი ვინაობის
...ადგენა იყო აუცილებელი!

...და აი, პედაგოგმა მთის გამჭვი...
...ვალე, სუფთა ჰაერი სამხედრო
...მისარიატებისა და მუზეუმების
...რჩევების მტვერზე გადასცვალა
...ა ზღვა საბუთების ქექვას შეუდ...
...ა. მალე სათვალე დასჭირდა, მე...
...ე ლუპაც შეიძინა... მოკლედ,
...უამად უკვე დაღესტნის ისტო...
...ია-არქიტექტურის მუზეუმის მე...
...ნიერმა თანამშრომელმა ვალენ...
...ინა მაკაროვამ 8000-ზე მეტი და...
...ეუპული მებრძოლის ვინაობა და...
...დგინა. მისივე ინიციატივით აშე...
...და მახაჩყალაში დიდების მემო...
...იალი... და ვაჟა რამიშვილმაც
...ედასთან, დასთან და ძმასთან
...რთად მახაჩყალაში ჩასვლისთა...
...ავე ულრმესი მადლიერების
...რძნობით სწორედ ვ. მაკაროვას...
...ენ გასწია.

... ვ. მაკაროვამ ყვავილების პა...
...არა თაიგული დადო მახაჩყალის
...ეორე საძმო საფლავის ერთ...
...რთ საძვალეზე და ჩვენ მოგვიბ...
...ოუნდა, — აი, აქ, ამ საფლავთან
...იდექი თეოფანე რამიშვილის
...ჯახთან ერთად, — გვითხრა „ძი...
...ების“ ჯგუფის ხელმძღვანელმა,
— დაიტირა, გული მოიოხა მეუ...
...ლემ, პატივცემულმა ანამ, შვი...
...ლებმა — ვაჟამ, ეთერმა, სული...
...ომ, დაიტირეს მარად ახალგაზრ...
...დად დარჩენილი მეუღლე და მა...
...ა, ისეთი, როგორიც იმ მრისხა...
...ნე 1941 წლის ივნისის დილიდან
...ახსოვდათ, როცა სამუდამოდ გა...
...დაბიჯა კარის ზღურბლს და მა...
...რადისობას შეერწყა.

მ. ეპილმანი,
ბ. სვანიძე.

კუთხე

# მაიმუნო?

...ამას მიხვდნენ სიტყვა „ჰუჰუია...
...ნის“ ხმარების შემდეგ, როცა ში...
...მპანზემ ეს სიტყვა ერთ-ერთ თა...
...ნამშრომელს უწოდა მასთან შეკა...
...მათების დროს.

...მიმნის მისცეს სურათებიანი

# სიხარულის ბარათი

**ემზარ** ლავრელაშვილმა შარშანწინ დაამთავრა თბილისის 160-ე საშუალო სკოლა და თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩაირიცხა. ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ფაკულტეტის II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი შარშან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გააცილეს მშობლებმა და მეგობრებმა.

უაღრესად საპატიო მისია — სამშობლოს დაცვა დაეკისრა მას. გაიარა მხედრული ცხოვრების ნახევარმა წელმა. მან მალე აითვისა სამხედრო საქმე, დაიმსახურა თანამებრძოლების პატივისცემა და ის უკვე სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან მშობლებმა, სკოლამ და ტექნიკუმმა მადლობის ბარათი მიიღეს.

აი, რას ვკითხულობთ წერილში: „პატივცემულო ლიანა დიმიტრის ასულო და ალექსანდრე დიმიტრის ძევ! სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა კმაყოფილებით გატყობინებთ, რომ თქვენი შვილი — ემზარი პატიოსნად ასრულებს სამხედრო დავალებებს. კეთილსინდისიერად შრომობს და დისციპლინირებული ჯარისკაცია. იგი აქტიურად მონაწილეობს ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის გამოც თანამებრძოლებისა და ხელმძღვანელების პატივისცემა დაიმსახურა.

გულითად მადლობას გიხდით სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილის აღზრდისათვის. იმედი გვაქვს, ემზარი კვლავაც პატიოსნად შეასრულებს სამხედრო დავალებებს.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს!“

მრავლისმთქმელია ნაწილის ხელმძღვანელის ეს ბარათი.

ს. ბალახაძე.

# მოზარდი სპორტსმენის წარმატება

**ქართველ** კრივისმოყვარეულებს ორმოცდაათიანი წლების შემდეგ იმედი გაუცრუვდათ — არა და არ ჩანდნენ დიდ რინგზე მაღალი კლასის ქართველი მოკრივეები. მერე ის იყო დავით კვაჭაძისა და ამირან ხიზანიშვილის ოსტატობამ კვლავ აალაპარაკა ათასობით გულშემატკივარი და... ისევ სიცარიელე. კარგ ტრადიციას კი გაგრძელება უნდა.

თბილისის მე-17 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე გელა ბეგაშვილი სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც სერიოზული ვარჯიშის შემთხვევაში, შეძლებს მხარი აუბას უფროსი თაობის თანამემამულე მოკრივეთა წარმატებებს. მან უკვე ოფიციალური ბრძოლა ჩაატარა და 32-ში გაიმარჯვა. მოზარდი სპორტსმენის „ყულაბაში“ უკვე მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო ღირსების მედალი, პრიზი თუ ვიმპელია.

ამას წინათ კი დონეცკში გამართულ მოსწავლე მოკრივეთა საკავშირო ტურნირზე, რომელშიც 460 სპორტსმენი მონაწილეობდა, გელამ სამივე ბრძოლა ნოკაუტით მოიგო და გმირი პიონერის — პავლიკ მოროზოვის სახელობის პრიზს დაეპატრონა. მისმა კარგმა ფიზიკურმა, ტექნიკურმა და ტაქტიკურმა მომზადებამ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის იაგუბკინის ყურადღება მიიპყრო.

გელა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში გადის წვრთნას (მწვრთნელი ს. წინამძღვრიშვილი). ამავე დროს იგი არც სწავლას ივიწყებს და ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგებსა და თანატოლებს შორის.

მ. მებალიშვილი.

# დედაქალაქის